



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 492320913

თარიღი:28/07/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 105

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173.0 კვ. მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.32. 531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი #29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ) ა(ა)იპ „ წყალტუბო არენა“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 ივლისის 48-482320534 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173.0 კვ. მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.32. 531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი #29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ) ა(ა)იპ „ წყალტუბო არენა“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 10173. 0 კვ. მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი # 29.08.32. 531 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ არსებული ხელოვნურსაფარიანი სათადარიგო სტადიონი) და 4677.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკ. კოდი #29.08.32.532 (ცენტრალური საფეხბურთო მოედნის მიმდებარედ) ა(ა)იპ „წყალტუბო არენა“-სთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

